ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 08-97/2

ქ. თბილისი **23 აგვისტო, 2019 წ.**

შემსყიდველი: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, წარმოდგენილი მინისტრის ფუნქციათა შემსრულებლის **ირინე აბულაძის** სახით,
მისამართი: ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. №52;
ტელ.: 2 200 220
საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა, კოდი: TRESGE22; ა/ა GE24NB0330100200165022;
საიდენტიფიკაციო კოდი 202051224;

მიმწოდებელი: შპს "პროსერვისი", წარმოდგენილი მისი დირექტორის **რევაზ ნატროშვილის** სახით,
მისამართი: ქ. თბილისი, ი.აბაშიძის 42
ტელ: 2 43 00 44
ს/ს „თიბისი ბანკი"
ბანკის კოდი: TBCBGE22;
ა/N GE28TB0600000303467561
საიდენტიფიკაციო კოდი 204929168

ერთი მხრივ - შემსყიდველი და მეორე მხრივ - მიმწოდებელი, 17.07.2019წ. №960280, 05.07.2019წ. №911794, 23.07.2019წ. №976171 და 01.07.2019წ. №880884 სამსახურებრივი ბარათების და "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის "ს[1]" ქვეპუნქტის საფუძველზე, დებენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:
1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
1.3 „დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.
1.4 „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.5 „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.
1.6 ,,მომსახურება" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანია ვებგვედრზე (www.proservice.ge) რეგისტრანტის უფლებამოსილი წარმომამდგენლის მიერ შევსებული განაცხადით მოთხოვნილი ინტერნეტდომენური სახელების **SIF.ge**, **inclusion.ge**, და **prof.ge** რეგისტრანტისათვის წინამდებარე ხელშეკრულების, "GE დომენის რეგისტრაციისა და სარგებლობის წესებისა და პირობებისა" (როგორც ეს გამოქვეყნებულია საიტზე www.proservice.ge) და ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ რეგლამენტის შესაბამისად, დროებით სარგებლობაში გადაცემა **(CPV72417000)**.

3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

3.1 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების საერთო ღირებულება შეადგენს **90.00 (ოთხმოცდა ათი)** ლარს.

3.2 ერთი ინტერნეტდომენური სახელის დროებით სარგებლობაში გადაცემის ღირებულებაა **30.00 (ოცდაათი)** ლარი.

3.3 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს შემსრულებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში.

4.2 ანგარიშსწორება მოხდება ეტაპობრივად მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველზე.

4.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება შესაბამისი დოკუმენტაციის ხელმოწერიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში.

4.4 წინასწარი ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

4.5 დაფინანსების წყარო:

ა) inclusion.ge და prof.ge - საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინიტროს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი („განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება" (პროგრამული კოდი 320101);

ბ) SIF.ge - მეცნიერები პოპულარიზაციის პროგრამა (პროგრამული კოდი 320505).

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მხარეებს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5.2 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტბზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირებს წარმოადგენენ:

- inclusion.ge -სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ინკლუზიური განვითარების სამმართველოს უფროსი ან შესაბამისად უფლებამოსილი პირი;
- prof.ge - პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსი ან შესაბამისად უფლებამოსილი პირი;
- SIF.ge - უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების განვითარების დეპარტამენტის უფროსი ან შესაბამისად უფლებამოსილი პირი.

6. მომსახურების გაწევის ვადა

6.1 მიმწოდებლმა უნდა უზრუნველყოს ინტერნეტდომენური სახელის დროებით სარგებლობაში გადაცემა შემდეგი ვადით:

ა) SIF.ge - 2019 წლის 13 სექტემბრიდან 1 კალენდარული წლის ვადით;

ბ) „inclusion.ge" 2019 წლის 7 ოქტობრიდან 1 კალენდარული წლის ვადით;

გ) prof.ge და 2019 წლის 8 ნოებრიდან 1 კალენდარული წლის ვადით.

7. მხარეთა უფლება–მოვალეობები

7.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

მოსთხოვოს მიმწოდებელს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) გაეცნოს და შეასრულოს GE დომენის რეგისტრაციისა და სარგებლობის წესები და პირობები (www. proservice.ge);

ბ) ყოველწლიურად, დროულად მოახდინოს მომსახურების ღირებულების გადახდა;

გ) მიაწოდოს მიმწოდებელს სარეგისტრაციო მონაცემების განსაახლებლად აუცილებელი ინფორმაცია (www. proservice.ge);

დ) არ დაუშვას მისთვის დროებით სარგებლობაში გადაცემული ინტერნეტდომენური სახელით დარეგისტრირებულ ინტერნეტგვერდზე დაუშვებელი პროდუქციის განთავსება;

ე) არ დაუშვას მის მიერ ვებგვედრზე (www. proservice.ge) რეგისტრაციის დროს მითითებული სახელისა და პაროლის გადაცემა მესამე პირებზე;

ვ) წინამდებარე ხელშეკრულება გააფორმოს მხოლოდ საკუთარი საჭიროებისათვის და არ იმოქმედოს სხვა (მესამე) პირ(ებ)ის დავალებით ან სასარგებლოდ;

7.3. მიმწოდებელს უფლება აქვს: მოსთხოვოს რეგისტრანტს წინამდებარე ხელშეკრულებითა და GE დომენის რეგისტრაციისა და სარგებლობის წესები და პირობები ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

7.4. მიწოდებელი ვალდებულია:

ა) გაუწიოს რეგისტრანტს კონსულტაცია დომენური სახელის რეგისტრაციის პროცედურის შესახებ;

ბ) მიიღოს გადაწყვეტილება დომენური სახელის რეგისტრაციასა ან რეგისტრაციის ვადის გაგრძელების შესახებ GE დომენის რეგისტრაციისა და სარგებლობის წესებისა და პირობების დაცვით (www. proservice.ge);

გ) უზრუნველყოს შემსყიდველის მიერ მოწოდებული სარეგისტრაციო მონაცემებისა და ინფორმაციის დროული განახლება.

მუხლი 8. მხარეთა ურთიერთვალდებულებები და პასუხისმგებლობა

8.1. რეგისტრატორი არ არის პასუხისმგებელი მესამე პირის მიერ რეგისტრანტის სარეგისტრაციო მონაცემების (ვებგვედრზე (www proservice.ge) ნებისმიერი სახით გამოყენებაზე. რეგისტრანტისათვის ცნობილია, რომ ვებგვერდზე (www.proservice.ge) შექმნილი პროფილიდან შევსებული განაცხადი, ან ნებისმიერი ხასიათის სხვა მოთხოვნა მხარეებისათვის წარმოადგენს სამართლებრივ დოკუმენტს, რის საფუძველზეც მხარეთა შორის წარმოიშობა მოთხოვნის შესაბამისი ვალდებულებები.

8.2. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე ან მასთან დაკავშირებით მხარეთა მიერ ერთმანეთისათვის გაგზავნილი ნებისმიერი ხასიათის შეტყობინება ან მოთხოვნა მიწოდებულად უნდა ჩაითვალოს შეტყობინების ან მოთხოვნის რეგისტრანტის მიერ ვებგვერდზე საკუთარ პროფილში მითითებულ საკონტაქტო ელექტრონულ ფოსტაზე.

9. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

9.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევის შემთხვევაში კონტროლის განმახორციელებელი პირის მიერ გაფორმდება შესაბამისი დოკუმენტაცია (ინსპექტირების აქტი).

9.2 ხელშეკრულების 9.1 პუნქტით გათვალისწინებულ კონტროლს განახორციელებენ:

- inclusion.ge - სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ინკლუზიური განვითარების სამმართველოს პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი თამარ ჟღენტი;
- prof.ge - პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსი ან შესაბამისად უფლებამოსილი პირი;
- SIF.ge - მეცნიერებისა და ტექნოლოგიის სამმართველოს მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თეა ტარიელაშვილი.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში, დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გაუწეველი მომსახურების ღირებულების 0,2%-ის ოდენობით.

10.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით.

10.3 მე-4 მუხლის 4.3 პუნქტში მითითებული ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია შემსყიდველს დააკისროს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,01%-ის ოდენობით.

10.4 დაკისრებული პირგასამტეხლო გადახდილ უნდა იქნას მხარისათვის აღნიშნულის თაობაზე გადაწყვეტილების (წერილი პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე) შეტყობინებიდან არაუგვიანეს 1 თვის ვადისა.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

11.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

11.4 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებლი მიზეზების გამო წარმოიშვება ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

11.5 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

11.6 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

12. ფორს-მაჟორი

12.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სანქციების გამოყენებას.

12.2 ამ მუხლის მიზნებისათვის ფორს-მაჟორი ნიშნავს ისეთ გარემოებებს, რომელთა არსებობის გამო მხარისათვის ობიექტურად შეუძლებელი იყო სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულება (სტიქიური მოვლენები, საომარი მოქმედება, ეპიდემია, კარანტინი, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირება, მომსახურების მიწოდებაზე ემბარგოს დაწესება, სახელწიფო გადატრიალება და სხვ.).

12.3 მიმწოდებლის მიერ ფორს-მაჟორული გარემოების დადგომა უნდა დასტურდებოდეს საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ.

12.4 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ინტერესთა კონფლიქტი

"სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, წინამდებარე ხელშეკრულებაზე და მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერი და კონტროლის განმახორციელებელი პირები სრულად აკმაყოფილებენ კანონის ამ მოთხოვნას და არ იმყოფებიან ინტერესთა კონფლიქტში მიმწოდებელთან.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე.

15.2 მხარეები ვალდებულნი არიან ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგაც შეასრულონ თავისი ვალდებულებები, თუ ეს ვალდებულებები წარმოიქმნა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

16. ზოგადი დებულებები

16.1 არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება, მეორე მხარისაგან წერილობითი თანხმობის გარეშე თავისი უფლებები ან ვალდებულებები გაასხვისოს ან გადასცეს მესამე პირებს.

16.2 მხარეები თანხმდებიან, რომ ის ურთიერთობანი, რომლებიც არ იქნა დარეგულირებული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

16.3 ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტაცია, რომლებიც გაიცვლება მხარეთა შორის ფორმდება ქართულ ენაზე.

მხარეები არსებითად ეთანხმებიან წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს, რასაც ადასტურებენ ხელმოწერით:

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	**შპს "პროსერვისი"**
მინისტრის ფუნქციათა შემსრულებელი	დირექტორი
ირინე აბულაძე	**რევაზ ნატროშვილი**
_____	_____